კონფლიქტების ანალიზი და მართვა

დღეისათვის აღნიშნულ სპეციალობაში ფუნქციონირებს სრული კურსი მაგისტრატურის დონეზე. კონფლიქტის ანალიზის და მართვის სამაგისტრო პროგრამა მომზადებულია აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და გადაჭრის ინსტიტუტთან 3 წლიანი თანამშრომლობის შედეგად და შეესაბამება ამ ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამას.
სადოქტორო პროგრამა კონფლიქტის ანალიზის და მართვის სპაციალობით შემუშავებულია აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და გადაჭრის ინსტიტუტსა და აშშ დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრთან თანამშრომლობის და კონსულტაციების საფუძველზე.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის დოქტორი
PhD in Conflict Analyses and Conflict Management

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
თსუ სრული პროფესორი გუგული მაღრაძე

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: დოქტორანტურის დონეზე კონფლიქტების მართვის პროგრამის მიზანია მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები კონფლიქტის ანალიზის და მართვის სფეროში, რომელთაც ექნებათ კონფლიქტების შესახებ ღრმა თეორიული ცოდნა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და პრაქტიკული უნარ ჩვევები სხვადასხვა კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, მიმდინარე კონფლიქტების ანალიზის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისათვის კონფლიქტების მოგვარების და პრევენციის, მშვიდობის მშენებლობის და შენარჩუნების სფეროში. ამასთან ერთად შეეძლებათ სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის წარმართვა კონფლიქტოლოგიის დარგის მომავალი სპეციალისტების მოსამზადებლად და სათანადო ტრენინგების და კონსულტაციების ჩასატარებლად.
დასაქმების სფერო: კონფლიქტების ანალიზის და მართვის სპეციალისტების დასაქმების სფერო ვრცელია: მათ შეუძლიათ იმუშაონ ყველა სფეროში ,სადაც უაღრესად მნოშვნელოვანია კონფლიქტების პრევენცია, მოგვარება, მართვა. ასეთი შეიძლება იყოს როგორც სამთავრობო, ისე კერძო ორგანიზაციები, ადგილობრივი თემი, სასწავლო დაწესებულებები, და სხვა. მათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა

შეუძლიათ საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებასა და პრევენციაში. ასევე, ისინი მზადდებიან სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

დოქტორანტურაში მიიღება მაგისტრის მქონე ხარისხის კანდიდატი საკონკურსო გამოცდის (გასაუბრების) ჩაბარების საფუძველზე. დოქტორანტს შეიძლება ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი კონფლიქტების მართვაში ან სხვა სპეციალობაში და უნდა გააჩნდეს ინგლისური ენის ცოდნის სერტიფიკატი B-2 დონეზე. მას ვისაც აქვს მაგისტრის ხარისხი კონფლიქტების მართვაში, შეიძლება ჩაეთვალოს გარკვეული კრედიტები თემის ხელმძღვანელის და სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილებით. სხვა დოქტორანტები გაივლიან სრულ კურსს.